ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №75846

ნომერი: AR125909

თარიღი : 02.03.2012

გაცემის თარიღი : 03.04.2012

გაცნობის თარიღი : 11.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გელოვანი , N 1 , (ნაკვ.1/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით დანელია პ/ნ 01024034923
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 4 ბ. 19

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გელოვანის გამზირის #1-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.10.18.001.003) ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით ცვლილებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2012 წლის 7 მარტის #9 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით ცვლილებას ეთქვა უარი (იხ. დანართი).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge